# ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #41

15:00 საათი

(ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამარ მეფის სახ. დარბაზი)

ა/წ 3 აპრილს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი დოხტურიშვილი;
2. მიხეილ ამაშუკელი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. გიორგი მუსხელიშვილი;
6. ლილე ლიპარტელიანი.

მოწვეული სტუმარები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი: 12-03200914-03 (01-01200901782) 30/03/2020 );
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი: 12-03200915-03 (01-01200901783) 30/03/2020 );

3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (წერილი: 16-032008718-03 (01-01200871062) 27/03/2020 );

4. ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ". (წერილი: 12-03200621-03 (01-01200594673) 01/03/2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დოხტურიშვილი.

გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილის ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში, კერძოდ, ცვლილება შედის აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში". ცვლილებების თანახმად, გარდამავალი დებულებების სახით წესში აისახა, ქვეპროგრამის განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტსა და აპრილში მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს, გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.
აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება.

ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში. კერძოდ, ცვლილება შედის აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში" (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" (კოდი: 06 02 06 02) ქვეპროგრამის განხორციელების წესსა" და ამავე მუხლის „ვ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03 ) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესში" (დანართი N6) . ცვლილებების თანახმად, გარდამავალი დებულებების სახით წესებში აისახა, ქვეპროგრამების განმახორციელებელის უფლებამოსილება, ერთჯერადად 2020 წლის მარტსა და აპრილში მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, გასცეს ამავე თვეებში ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსი, რომელიც თითოეულ თვეში შეადგენს მიმწოდებლის მიერ 2020 წლის თებერვალში წარმოდგენილი ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100%-ს, გარდა ამისა, ცვლილების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება, მიღებული ავანსის მოცულობის შესაბამისად.

ქვეპროგრამების მიმწოდებლები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად აღიარებული ახალი კორონავირუსისა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაუწიონ მომსახურება ბენეფიციარებს და შესაბამისად, მიიღონ ქვეპროგრამის განმახორციელებლისგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება, რაც თავის მხრივ ზღუდავს დაწესებულებებს გასცენ ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურება.

გელა ჩივიაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილელებები მიზნად ისახავს ქვეპროგრამის გამართული მუშაობის უზრუნველყოფასა და მიმწოდებლებთან შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობას.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევებმა ასევე, მოუსმინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას ინფორმაციას "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთის - 2 200,0 ათასი ლარის გამოყენების გათვალისწინებით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 2 200,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 241 180,6 ათას ლარს.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მიღებული ეკონომიების გათვალისწინებით რესურსები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

**იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:**

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 74,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 148,5 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 99,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 60,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 22,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 18,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 96,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 37,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 40,4 ათასი 2 ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 31,5 ათასი ლარი,

გარდა ამისა, დაემატა ახალი ქვეპროგრამა - სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 2 200,0 ათასი ლარი, მომუშავეთა რიცხოვნობა 153 ერთეული. ასევე, დაზუსტდა პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობები.

**მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:**

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) – 497,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 4,2 ათასი ლარით.

აქვე, ლევან მიქავამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში".

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 55,009.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 54,368.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.5%. მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების

დაფინანსებამ 39,355.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (39,981.7 ათასი ლარი) 98%; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 15,012.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 167,981.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 167,429.5 17 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.7%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 23.6%-ს შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: კომუნალური სუბსიდირება - 8,027.9 ათასი ლარი; სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში - 36,157.1 ათასი ლარი; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 3,962.3 ათასი ლარი; ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) – 7,605.4 ათასი ლარი; დაავადებათა სკრინინგი (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტალური, ფარისებრი ჯირკვლის სკრინიგი) – 1,852.2 ათასი ლარი; ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 2,882.4 ათასი ლარი; ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 522.6 ათასი ლარი; მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 17,997.2 ათასი ლარი; მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) M3 კატეგორიის ავტობუსით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება - 62,800.0 ათასი ლარი; თბილისის მასშტაბით დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები - 6,269.6 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 2,270.3 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 10,427.7 ათასი ლარი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება - 3,095.4 ათასი ლარი. „სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 212,184.5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო ხარჯი გაწეული იქნა 135,264.6 ათასი 18 ლარის მოცულობით, რაც გეგმის 63.7%-ია, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 19%-ია.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

**06 01 ჯანმრთელობის დაცვა** დაფინანსებულია 54,368.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 55,009.7 ათასი ლარის 98.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 01 01 სასწრაფო სამედიცინო დახმარება**

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 37,149.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 36,544.3 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 98.4% და 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5,649.7 ათასი ლარით მეტია, რაც ძირითადად გამოწვეულია ავტოპარკის განახლებით (სპეციალური დანიშნულების ავტომანქანის შეძენა). გამოყოფილ სახსრებში

„ხარჯების" მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 87.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების" შესრულებამ -10.7%.

**06 01 02 დაავადებათა სკრინინგი**

**2019 წლის გეგმა** - 2,320.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,301.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის პრევენცია.

**06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი**

**2019 წლის გეგმა** - 512.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 509.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა.

**06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია**

**2019 წლის გეგმა** - 3,965.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,962.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

**06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2019 წლის გეგმა** - 2,900.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე განკურნება; HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია.

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წლის განმავლობაში დაფინანსდა 164 შემთხვევა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაფინანსდება 144 შემთხვევა.

**მიღწეული მაჩვენებელი** - დაფინანსდა 158 შემთხვევა.

**06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება**

**2019 წლის გეგმა** - 528.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 522.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

**06 01 12 „c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა**

**2019 წლის გეგმა** - 25.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 23.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ბენეფიციართათვის C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ინფექციის გავრცელების პრევენცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილი იყო 1980 ბენეფიციარის დაფინანსება. **მიღწეული მაჩვენებელი** - დაფინანსდა 464 ბენეფიციარი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - აღნიშნული შემცირება გამოწვეულია იმით, რომ 2019 წლის აგვისტოდან პროგრამაში ჩართული ახალი ბენეფიციარების სრული დაფინანსება ხორციელდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

**06 01 13 ტრანსპლანტაცია**

**2019 წლის გეგმა** - 7,610.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 7,605.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის არის ლეტალური გამოსავლისგან გადარჩენა, მათი სიცოცხლის დაცვა.

**მიღწეული მაჩვენებელი** - დაფინანსდა 143 ბენეფიციარი (მათ შორის 49% ქალი, 51% კაცი).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაფიქსირდა მოთხოვნის ზრდა, შესაბამისად გაიზარდა ქვეპროგრამის ასიგნება.

**06 02 სოციალური დაცვა** დაფინანსებულია 150,960.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 151,586.4 ათასი ლარის 99.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 02 01 კომუნალური სუბსიდირება**

**2019 წლის გეგმა** - 8,035.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,027.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თბილისში რეგისტრირებულ 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის/აბონენტებისათვის განხორციელდა ელექტროენერგიის, წყლის გადასახადზე და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის დარიცხვა. სუბსიდია გაიცა წლის მანძილზე 5-ჯერ, კერძოდ: იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში და დეკემბერში.

**მიღწეული მაჩვენებელი** - განხორციელდა თვეში საშუალოდ 46191 ოჯახის სუბსიდირება (5 თვისგანმავლობაში).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:** მეტი აბონენტის სუბსიდირება განაპირობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობის ცვლილებამ.

**06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება**

**2019 წლის გეგმა** - 9,465.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 9,453.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 4512 ოჯახს - 15648 ბავშვზე.

**06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია**

დაფინანსებულია 986.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

**06 02 04 01 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება**

**2019 წლის გეგმა** - 987.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროგრამის ადმინისტრირების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება. ასევე, საკურორტო მომსახურების ნაწილში ანაზღაურებული იქნა 1387 ვაუჩერი, რომლითაც ისარგებლა ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და მინიმუმ ერთმა გამყოლმა.

**06 02 05 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება**

**2019 წლის გეგმა** - 38.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 33.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ 33 მოქალაქეს.

### 06 02 06 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება

დაფინანსებულია 2,492.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 2,520.0 ათასი ლარის 98.9%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა უფასო სწავლება ყოველთვიურად ფინანსდება ხელოვნების სკოლებში (32 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში (9 ფილიალი) და სასახლეში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (26 სკოლა/ცენტრი/აუზი).

### 06 02 06 01 უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში.

**2019 წლის გეგმა** - 587.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 582.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე- ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1902 თვეში).

### 06 02 06 02 უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში

**2019 წლის გეგმა** - 980.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 974.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია. **დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ხელოვნების სკოლებში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 2524 თვეში).

**06 02 06 03 უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში**

**2019 წლის გეგმა** - 722.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 713.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სპორტულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება სპორტის სხვადასხვა წრეებში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1743 თვეში).

**06 02 06 04 სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)**

**2019 წლის გეგმა** - 230.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 222.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.

**06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები**

**2019 წლის გეგმა** - 16,285.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 16,061.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარებისა და სხვა

სერვისების ხელმისაწვდომობის განხორციელების ხელშეწყობის კომისიის ინფორმაციის თანახმად, ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ სამედიცინო მომსახურებაზე გაწეულია 13,906.7 ათასი ლარი. მათ შორის: 2,359.5 ათასი ლარით დაფინანსდა საშუალოდ 3541 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 6,214.5 ათასი ლარით საშუალოდ 7592 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა, ხოლო 5,332.7 ათასი ლარით საშუალოდ 6,336 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები. გარდა ამისა, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხულია 2,054.6 ათასი ლარი.

06 02 10 ომის ვეტერანების დახმარება

**2019 წლის გეგმა** - 132.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ამ ომში მარჩენალდაკარგულების მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 190 ომის მონაწილეს გადაერიცხა 600-600 ლარი, ხოლო ომში დაკარგულის სტატუსის მქონე 60 ბენეფიციარს კი 300-300 ლარი.

**06 02 11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება**

**2019 წლის გეგმა**-62,800.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** M 3 კატეგორიის ავტობუსებით და მეტროთი გადაყვანილი ცალკეული კატეგორიის მგზავრების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება; M 2 ავტობუსებით გადაყვანილი ცალკეული კატეგორიის მგზავრების სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (მეტრო, M2 და M3) გადაყვანილია უფასო ან შეღავათიანი ტარიფით 167 622 373 მგზავრი (სულ გადაყვანილია 274347795 მგზავრი), მათ შორის:

მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია სულ 159 556 752 მგზავრი, აქედან: მეტროთი 72 469 777 მგზავრი, ავტობუსით 87 086 975 მგზავრი. გაწეული მომსახურებისათვის მგზავრთა გადამყვანი შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია" დაფინანსებულია 60,266.8 ათასი ლარით, აქედან: მეტროპოლიტენით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრთა გადაყვანა 26,863.3 ათასი ლარით, ავტობუსებით 33,403.5 ათასი ლარით.

M2 კატეგორიის ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, მგზავრობის ტარიფის 50%-ანი შეღავათით გადაყვანილია 8 065 621 მგზავრი. მგზავრთა გადამყვანები დაფინანსებულია 2,533.2 ათასი ლარით, მათ შორის: შპს „თბილ ლაინი" – 1,106.6 ათასი ლარით, შპს კაპიტალ გრუპი" – 314.5 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი" – 300.1 ათასი ლარით, შპს „ფაბლიქ-ქარი"-812.0 ათასი ლარით.

**06 02 13 მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა განმახორციელებელი**

**2019 წლის გეგმა** - 7,4 ათასი ლარი, დაფინანსდა 1.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 23.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მარტოხელა ხანდაზმულების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია დღის ცენტრის კომუნალური ხარჯები (მათ შორის: 1311,53 ლარი შპს „ვარკეთილაირში", 280,53 ლარი - სს"თელასში", 131,5 ლარი - შპს „თბილსერვის ჯგუფში"). ცენტრში ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი.

**მიღწეული მაჩვენებელი** - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 145-მა მარტოხელა ხანდაზმულმა.

**06 02 14 უფასო სასადილოებით მომსახურება** დაფინანსებულია 17,997.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 18,015.1 ათასი ლარის 99.9%-ი). თბილისში ფუნქციონირებს 62 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება თვეში საშუალოდ 38472 ბენეფიციარს.

**06 02 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები** დაფინანსებულია 69.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 78.5 ათასი ლარის 87.9%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 02 16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია** დაფინანსებულია 6,269.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 6,282.4 ათასი ლარის 99.8%): საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია 10 რაიონში მცხოვრებ სულ 2064 ოჯახს.

**06 02 17 ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში** დაფინანსებულია 49.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 50.8 ათასი ლარის 97.7%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 02 18 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში** დაფინანსებულია 21,477.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 21,581.3 ათასი ლარის 99.5%) შემდეგ ქვეპროგრამებზე

**06 02 20 წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში** დაფინანსებულია 739.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 854.4 ათასი ლარის 86.6%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა**

**2019 წლის გეგმა** - 1,274.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,222.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მიუსაფარი პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით (პალიატიური ზრუნვა) გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისისათვის" – 82.6 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 1,139.5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში პალიატიური ჰოსპისით და თავშესაფარით ისარგებლა საშუალოდ თვეში 143 ბენეფიციარმა.

**06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება**

**2019 წლის გეგმა** - 770.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალურად დაუცველი

ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს) 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვისათვის ოჯახის უფლებამოსილი პირის სახელზე მაისში და დეკემბერში კუთვნილი ფულადი დახმარების დარიცხვა 400-400 ლარის ოდენობით. მაისში კუთვნილი 400 ლარი მიიღო 956 შშმ ბავშვმა, ხოლო დეკემბერში - 926 შშმ ბავშვმა. ამასთან, დაფარულია 43 შშმ ბენეფიციარის კუთვნილი 2018 წლის ფინანსური დახმარების დავალიანება.

**06 02 23 „ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება"**

**2019 წლის გეგმა** - 75.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს" აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება თვეში 6 520 ლარი, გარდა აგვისტოსი - 4 070 ლარი. მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ყოველთვიურად ხორციელდებოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა (არაუმეტეს 25 ბავშვისა თვეში).

**06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება**

**2019 წლის გეგმა** - 546.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 535.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

**06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება**

**2019 წლის გეგმა** - 475.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 643 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ

ახალშობილი. (მათ შორის: 289 ოჯახს - 500 ლარი 1 ან 2 ბავშვის, 215 ოჯახს - 800 ლარი მე-3 ბავშვის, 99 ოჯახს - 1 000 ლარი მე-4 ბავშვის, 40 ოჯახს - 1 500 ლარი მე-5 და მეტი ბავშვის შეძენისთვის).

**მიღწეული მაჩვენებელი** - დახმარება გაეწია 643 ბავშვის ოჯახს

**06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება**

**2019 წლის გეგმა** - 440.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 423.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უძლური ხანდაზმულებისათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** იგეგმება საშუალოდ თვეში 853 ბენეფიციარის მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 597 ქალი, 256 კაცი)

**მიღწეული მაჩვენებელი** - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 846 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 590 ქალი, 256 კაცი).

**06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა**

**2019 წლის გეგმა** - 872.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 868.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** შშმ პირების კულტურულ- შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება **მიღწეული მაჩვენებელი** - დაფინანსდა 78 განცხადება/პროექტი

**წარმოდგენილი ცვლილებები და პროექტები დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 1

<u>კომისიამ დაადგინა</u>

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 846 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 590 ქალი, 256 კაცი).

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

2019წლისგეგმა-872.0ათასილარი,დაფინანსდა868.3ათასილარით,რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: 388 პირების კულტურულ- შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 78 განცხადება/პროექტი

წარმოდგენილი ცვლილებები და პროექტები დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 1

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი დოხტურიშვილი